**სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2026 წლის 21 ივლისის № 21/10607 წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირება:**

| **N:** | **სააგენტოს კომენტარი:** | **განმარტება:** |
|---|---|---|
| 1 | წარმოდგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიშსა და 6.2 ცხრილში მოცემული გაფრქვევის მაჩვენებლები როტაციული დანადგარის მილებიდან (გაფრქვევის წყაროები გ-1 და გ-2) განსხვავდება გაბნევის ანგარიშში ასახული შესაბამისი სიდიდეებისგან, რაც საჭიროებს განმარტებას და კორექტირებას და შესაბამისად, განახლებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის წარმოდგენას.<br>ამასთან, გაბნევის ანგარიშის ამონაბეჭდში კორექტირებას საჭიროებს „გაფრქვევის წყაროთა პარამეტრების"(გვ.31) და „ემისიები წყაროებიდან ნივთიერებების მიხედვით" (გვ.33) ცხრილები; | **შენიშვნა გათვალისწინებულია** - იხ. ზდგ-ის ნორმების პროექტი (დანართი №1). |
| 2 | ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში დაანგარიშებული მავნე ნითიერებათა შეაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის ასახული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში, რომლიც შესრულებულია ავტომატიზირებული მოდელირების პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას; | **შენიშვნა გათვალისწინებულია** - იხ. ზდგ-ის ნორმების პროექტი (დანართი №1). |
| 3 | ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ში ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, | **შენიშვნა გათვალისწინებულია და დაზუსტებულია:** |

| | | |
|---|---|---|
| | განსახილველი საწარმოო პროცესი აღწერილია როგორც ე.წ. უნარჩენო წარმოება, კერძოდ, პოლიეთილენის პროდუქციის წარმოების შედეგად წარმოქმნილი პოლიეთილენის ამონაჭრები და წუნდებული პროდუქცია საფქვავ დანადგარზე გადამუშავების შემდეგ კვლავ მიეწოდება ტექნოლოგიურ ხაზებს და გამოიყენება ხელახალ წარმოებაში. ამასთან, ანგარიშში დანართად წარმოდგენილ ნარჩენების მართვის გეგმაში მითითებულია, რომ წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენი კოდით 07 02 13 გადაეცემა შპს „ზუგოს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს, წარმოების პროცესში წარმოქმნილი პოლიეთილენის ამონაჭრები და წუნდებული პროდუქცია განიხილება თუ არა ნარჩენად (ნარჩენის კოდი: 07 02 13), თუ წარმოადგენს შიდა ტექნოლოგიურ მასალას, რომელიც სრულად ბრუნდება საწარმოო პროცესში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას; | **შიდა ტექნოლოგიური ციკლი (უნარჩენო ციკლი):** პოლიეთილენის პროდუქციის წარმოების შედეგად წარმოქმნილი პოლიეთილენის ამონაჭრები და წუნდებული პროდუქცია განიხილება როგორც შიდა ტექნოლოგიური მასალა და არა ნარჩენი.<br><br>აღნიშნული მასალა საწარმოშივე, გადადის საფქვავ დანადგარზე და მიღებული ფხვნილის სახით სრულად ბრუნდება პირველად საწარმოო ციკლში ხელახალი პროდუქციის დასამზადებლად.<br><br>**ამასთანავე, გათვალისწინებულია პრევენციული მიდგომა:** იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური მიზეზების ან ფორსმაჟორული გარემოებების გამო, დროებით ვერ მოხდა შიდა ამონაჭრებისა და წუნდებული პროდუქციის საწარმოო ციკლში დამუშავება/დაფქვა (მაგ. დანადგარების გაუმართაობის გამო), ტერიტორიაზე აღნიშნული მასალების ზედმეტი/დიდი რაოდენობით დასაწყობებისა და გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, დროებით განიხილება ნარჩენად (კოდით 07 02 13) და ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, გადაეცემა უფლებამოსილ ორგანიზაციას – შპს „ზუგო“-ს; |
| 4 | ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ს ანგარიშში დეტალურად არ არის შეფასებული ცხოველებზე, განსაკუთრებით ფრინველებზე, მათ შორის ზურმუხტის „ჭოროხის დელტა“ (GE0000054) ტერიტორიის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებულ სახეობებზე ზემოქმედება. გარდა ამისა, არასრულყოფილად არის შეფასებული კუმულაციური | **შენიშვნა გათვალისწინებულია - იხ. ზზშ ანგარიში (დანართი №2).** |

| | | |
|---|---|---|
| | ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიასა და მის ეკოლოგიურ მახასიათებლებთან მიმართებით. ასევე, ზზშ-ს ანგარიშში არ არის მოცემული მონიტორინგის ჩატარების საჭიროების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი მონიტორინგის გეგმა. ასევე, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ს ანგარიშში, მონიტორინგი გეგმაში არ არის ასახული ბიომრავალფეროვნების ნაწილის შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სრულფასოვანი გეგმა, სადაც აისახება: ბიომრავალფეროვნების, განსაკუთრებით ზურმუხტის საიტის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებული ჰაბიტატებისა და სახეობების, მათ შორის ფრინველების მდგომარეობასა (შესაბამისი კვლევა-შეფასების გზით) და მათზე ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხები, ზემოქმედების სახეების მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების ჩათვლით.<br>ასევე გზშ ანგარიშსა და ზზშ-ს ანგარიშში მოცემული, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ზემოქმედების ყველა შემარბილებელი ღონისძიების გატარებაზე, ასევე ამ შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. გეგმა უნდა მოიცავდეს, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებისა და ექსპლუატაციის ეტაპებს, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ზურმუხტის საიტის | |

| | | |
|---|---|---|
| | სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებულ ჰაბიტატებსა და სახეობებზე. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ასევე განახლებას საჭიროებს ზზშ-ის ანგარიში. | |
| 5 | ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილია ტექნოლოგიური პროცესების ცვლილება, ასევე სხვადახვა საამქროს დამატება და წარმადობის გაზრდა.<br>კერძოდ, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია სამღებრო საამქროს, შავი მეტალის საამქროს, გადასაფუთი დანადგარის, "Fasamak"-ის მარკის ჯართის საპრესი დანადგარის მოწყობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის №417 დადგენილების მე-5 მუხლის მეორე ნაწილის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გონივრული ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ შესაბამისი დასაბუთებით; | **შენიშვნა გათვალისწინებულია და წარმოდგენილია გონივრული ტექნოლოგიური ალტერნატივების დასაბუთება:**<br><br>ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ახალი საამქროებისა და დანადგარების დაგეგმვისას, განხილულ იქნა სხვადასხვა ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს გარემოზე მინიმალურ ნეგატიურ ზემოქმედებას და რესურსების ეფექტურ მართვას. წარმოდგენილია ტექნოლოგიური ალტერნატივების ანალიზი და შერჩევის დასაბუთება კომპონენტების მიხედვით:<br><br>**სამღებრო საამქრო (ფხვნილოვანი შეღებვა ან/და თხევადი შეღებვა):**<br><br>**განხილული ალტერნატივა:** ტრადიციული თხევადი (ორგანულ გამხსნელებზე ბაზირებული) საღებავების გამოყენება.<br><br>**შერჩეული ტექნოლოგიის დასაბუთება:** საწარმოში მოეწყობა **ელექტროსტატიკური ფხვნილოვანი შეღებვის საამქრო**. თხევადი საღებავებისგან განსხვავებით, ფხვნილოვანი ტექნოლოგია საერთოდ **არ საჭიროებს ქიმიური გამხსნელების გამოყენებას**, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ატმოსფერულ ჰაერში აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ტოქსიკურ ემისიებს. გარდა ამისა, ფხვნილოვანი ღებვა ხასიათდება მაღალი რეკუპერაციით (ეფექტიანობა 95-98%), რაც ამცირებს საღებავის დანაკარგებს და მყარი ქიმიური ნარჩენების წარმოქმნას. საშრობი სისტემებისთვის |

| | | |
|---|---|---|
| | | ნშერჩეულია ეკოლოგიურად სუფთა საწვავი – ბუნებრივი აირი, ნაცვლად თხევადი ნავთობპროდუქტებისა.<br><br>**შავი მეტალის საამქრო:**<br><br>**განხილული ალტერნატივა:** თერმული (პლაზმური ან გაზური) ჭრისა და ცხელი შტამპვის მეთოდები.<br><br>**შერჩეული ტექნოლოგიის დასაბუთება:** შერჩეულ იქნა მექანიკური ლენტური ჭრის უახლესი ავტომატიზებული ხაზი. აღნიშნული ტექნოლოგია უზრუნველყოფს მასალის მაღალ სიზუსტეს, რაც მინიმუმამდე ამცირებს ტექნოლოგიური ჯართის/ნარჩენის წარმოქმნას. ჭრისა და ფორმირების პროცესი მიმდინარეობს თერმული დამუშავების გარეშე, რაც გამორიცხავს ლითონის წვისა და თერმული აეროზოლების გამოყოფას ჰაერში. გაგრილების სისტემა მუშაობს ჩაკეტილი ბრუნვითი ციკლით, რაც სრულად გამორიცხავს საწარმოო ჩამდინარე წყლების გარემოში ჩაშვებას.<br><br>**გადასაფუთი დანადგარი:**<br><br>*განხილული ალტერნატივა:* დაზიანებული ტომრების მექანიკური, ღია წესით გადაფუთვა.<br><br>*შერჩეული ტექნოლოგიის დასაბუთება:* დაგეგმილია ლოკალური ასპირაციის სისტემითა და ქოლგისებრი გამწოვით აღჭურვილი ჰერმეტული მიმღები ბუნკერის მოწყობა. დანადგარი მუშაობს მინიმალური საათობრივი დატვირთვით (თვეში მხოლოდ 2 დღე), ხოლო სპეციალური გამწოვი ეფექტურად აკავებს არაორგანულ |

| | | |
|---|---|---|
| | | მტვერს უშუალოდ გამოყოფის წყაროსთან და ხელს უშლის სამუშაო ზონისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას.<br><br>**ჯართის საპრესი დანადგარი („Fasamak“ მოდელი FSM-2):**<br><br>*განხილული ალტერნატივა:* ჯართის ღია წესით დასაწყობება, დაქუცმაცება ან თერმული გადადნობისთვის მომზადება.<br><br>*შერჩეული ტექნოლოგიის დასაბუთება:* შერჩეულია მაღალეფექტური ჰიდრავლიკური საპრესი დანადგარი „Fasamak“ (FSM-2). აღნიშნული ტექნოლოგიური ალტერნატივა იძლევა ნარჩენების მოცულობის მკვეთრი შემცირების (კომპაქტიზაციის) საშუალებას მექანიკური დაწნეხვის გზით.<br><br>აღნიშნული უზრუნველყოფს: ა) საწარმოო ტერიტორიის რაციონალურ გამოყენებას და ნარჩენების გაფანტვის პრევენციას;<br><br>ბ) ტრანსპორტირებისას სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობისა და შესაბამისად, საავტომობილო ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას ლოგისტიკის ოპტიმიზაციის ხარჯზე.<br><br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შერჩეული ტექნოლოგიური ალტერნატივები წარმოადგენს გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ოპტიმალურ, გონივრულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ორიენტირებულია ნარჩენების მინიმიზაციაზე, ემისიების ლოკალიზაციაზე და რესურსების დაზოგვაზე. |

| | | |
|---|---|---|
| 6 | ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში არსებული საწარმოების შესახებ.<br>,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის №417 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგნეილი უნდა იყოს ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით, 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების მსგავსი ანალოგიური საქმიანობების/ ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილებისა და საქმიანობების მითითებით); | **შენიშვნა გათვალისწინებულია და წარმოდგენილია** საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალის დეტალური ანალიზი.<br>მიზნობრივი საველე სამუშაოების ფარგლებში, 500 მეტრიანი არეალი ფიზიკურად იქნა შესწავლილი და შემოვილი, რის საფუძველზეც ზუსტად იდენტიფიცირდა მიმდებარე ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობა.<br>შპს „ნოვა“-ს საწარმოს საკადასტრო საზღვრებიდან 500 მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტები:<br>1. ს/კ 05.32.06.097 - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 259 - შპს „დუთი ფრი ჯორჯია“ - საერთაშორისო ბრენდების პროდუქციის რეალიზაცია;<br>2. ს/კ 05.32.06.022 - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257 - შპს "MAX-TRANS GEORGIA"- საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებითა და ლოგისტიკური მომსახურება;<br>3. ს/კ 05.32.06.250, ს/კ 05.32.06.249, ს/კ 05.32.06.247, - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257მ - შპს "როიალ პლასტიკ" - დღეის მდგომარეობით კომპანიას შეჩერებული აქვს წარმოება და ტერიტორიაზე განთავსებულია სასაწყობე მეურნეობა.<br>4. ს/კ 05.32.06.121 - შპს „სტარ არ ჯი“ -ქალაქი ბათუმი , აეროპორტის გზატკეცილი , № 263- სასაქონლო ბეტონის წარმოება;<br>5. ს/კ 05.32.06.246 და ს/კ 05.32.06.246 - შპს "ნექსთ ჰოტელ"- ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257თ - სასტუმრო;<br>6. ს/კ 05.32.06.242, ს/კ 05.32.06.243-შპს ,,ეკოსთორიჯ'' - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257ვ - სასაწყობე მეურნეობა და კომერციული ფართები; |

| | | |
|---|---|---|
| | | 7. ს/კ 05.32.06.241 - შპს "ხევი" (ს/კ 445420517) - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257ე - სასაწყობე მეურნეობა;<br>8. ს/კ 05.32.06.240 - შპს გრას გრუპი - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257დ - გამწვანება და ლანდშაფტური დაგეგმარება;<br>9. ს/კ 05.32.06.245 - შპს "ეკოსთორიჯ 1" (ს/კ 445587446) - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257გ - კომერციული და სასაწყობო ფართები;<br>10. ს/კ 05.32.06.248- შპს "კარი" (ს/კ 448054211) ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 257ზ- კარების, ფანჯრებისა და მეტალოპლასტმასის აწყობა/რეალიზაცია;<br>11. ს/კ 05.32.06.313 - შპს „ფასად სისტემ“ (ს/კ 445676475) - ქალაქი ბათუმი , ქუჩა ჭოროხის , მიმდებარედ ლითონის კონსტრუქციების აწყობა.<br>12. ს/კ 05.32.06.947, ს/კ 05.32.06.692 - შპს "მტზ-კომპანი" (ს/კ 445525478) ქალაქი ბათუმი , დასახლება ადლია - სასაწყობე მეურნეობა;<br>13. ს/კ 05.32.06.688 - სააქციო საზოგადოება "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" (ს/კ 201948063) - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 263ბ - რეგიონული სასაწყობო-სადისტრიბუციო ცენტრი;<br>14. ს/კ 05.32.06.689 - შპს "ოლდ ბათუმი"-ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 263 - სპეც-ტექნიკის ბაზა;<br>15. ს/კ 05.32.06.016 -ქემალ ბილგინგულლუოღლუ - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, №265, - ტირ პარკი;<br>16. ს/კ 05.32.06.063-შპს "მმმ ჯგუფი" - ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილის №251-თხევადი საწვავის სარეალიზაციო სადგური; |

| | | |
|---|---|---|
| | | 17. ს/კ 05.32.06.200 - შპს "მაქსიმა" - ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილის №249ე - ავეჯის დასამზადებელი მასალების რეალიზაცია;<br>18.ს/კ 05.32.04.657, ს/კ 05.32.04.656 - შპს "ავიატორი" - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 300 - საოფისე და სასაწყობე ფართები;<br>19. ს/კ 05.32.06.072 - შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია " - ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 304 - ავტოგასამართი სადგური;<br>20. ს/კ 05.32.06.050 - შპს „ბლექ სი ინდასტრი“ (ს/კ 445404170) - ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №306- სოკარის სასაწყობე მეურნეობა;<br><br>500-მეტრიანი რადიუსის კვლევის შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული ინდუსტრიულ-ლოჯისტიკური და კომერციული ობიექტებით. ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა (სასაწყობო მეურნეობები, სადისტრიბუციო და ლოჯისტიკური ცენტრები, ტირ-პარკები, სარეალიზაციო შოურუმები და საოფისე ფართები) მიეკუთვნება არასაწარმოო/კომერციულ კატეგორიას, რომელთა ოპერირება საერთოდ არ არის დაკავშირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებთან ან სპეციფიკურ საწარმოო დატვირთვებთან.<br><br>მიმდებარედ არსებული მცირე საამქროები (მაგალითად, მეტალოპლასტმასის ან ლითონის კონსტრუქციების აწყობა) |

| | | |
|---|---|---|
| | | ატარებენ მხოლოდ მექანიკურ/საკომპლექტაციო ხასიათს და არ გააჩნიათ თერმული ან ქიმიური დამუშავების წყაროები.<br><br>კვლევის ზონაში დაფიქსირებული ერთადერთი აქტიური საწარმოო ობიექტი – შპს „სტარ არ ჯი“ (ბეტონის წარმოება) ხასიათდება მხოლოდ ინერტული მტვრის ლოკალური გამოყოფით.<br><br>აღნიშნული საწარმოს მონაცემები გათვალისწინებულია ზდგ დოკუმენტში. |
| 7 | ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის №417 დადგენილების მე-5 მუხლის, მეორე ნაწილის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგნეილი უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ნედლეულის შემოტანის/პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის, ტრანსპორტირების სქემა, სამოძრაო მარშრუტები (რუკაზე ჩვენებით), ტრანსპორტირების პირობები, სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გზები; | **შენიშვნა გათვალისწინებულია და წარმოდგენილია დეტალური სატრანსპორტო-ლოჯისტიკური გეგმა:**<br><br>საქართველოს მთავრობის №417 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ლოჯისტიკური პროცესები (ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა) დაზუსტებულია და წარმოდგენილია შემდეგი სახით:<br><br>საწარმოო ობიექტი მდებარეობს ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №261-ში, რაც უზრუნველყოფს პირდაპირ და უშუალო კავშირს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალებთან.<br><br>საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად და ტრანსპორტირებისთვის ძირითად არტერიად გამოიყენება აეროპორტის გზატკეცილი (საერთაშორისო გზა E70 / S2), რომელიც გამოირჩევა მაღალი გამტარუნარიანობით და |

| | | |
|---|---|---|
| | | ადაპტირებულია მძიმეწონიანი სატვირთო ტრანსპორტისთვის. ტრანსპორტის მოძრაობა სრულად გამორიცხავს ქალაქის ცენტრალური, ვიწრო საცხოვრებელი ქუჩების გამოყენებას. (იხ. რუკა).<br><br>**ნედლეულის იმპორტი:** ვინაიდან საწარმოო ნედლეულის (ლითონის რულონები, პოლიეთილენის გრანულები/ფხვნილი, საღებავები) 95% იმპორტირებულია (თურქეთი, ჩინეთი, ევროპა, აზერბაიჯანი და სხვა), სატვირთო ნაკადები ძირითადად შემოდის სარფის საბაჟო გამშვები პუნქტიდან, ბათუმის პორტიდან ან ცენტრალური მაგისტრალიდან, საიდანაც პირდაპირ აეროპორტის გზატკეცილის მეშვეობით აღწევს ობიექტს.<br><br>**პროდუქციის დისტრიბუცია:** მზა პროდუქციის გატანა საწარმოდან (როგორც შიდა ბაზრისთვის, ისე ექსპორტზე) ხორციელდება იდენტური მარშრუტით – აეროპორტის გზატკეცილის გავლით შესაბამისი მიმართულებებით.<br><br>**მძიმეწონიანი ტრანსპორტი (ნედლეულის შემოტანა / მზა პროდუქციის ლოჯისტიკა):** დღის განმავლობაში საშუალოდ მოსალოდნელია 6-8 დიდი სატვირთო მანქანის (ტრაილერის) შესვლა-გამოსვლა ობიექტზე.<br><br>**მსუბუქი და საშუალო ტონაჟის ტრანსპორტი (ადგილობრივი დისტრიბუცია და პერსონალი):** დღის განმავლობაში საშუალოდ 10-12 ოპერაცია. |

<table>
<tr>
<td></td>
<td></td>
<td>
საავტომობილო ნაკადის ეს მატება უმნიშვნელოა აეროპორტის გზატკეცილის არსებულ მაღალ ინტენსივობასთან შედარებით და არ გამოიწვევს გზის გამტარუნარიანობის გაუარესებას.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმო გადადის უწყვეტ, 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე, საავტომობილო ლოჯისტიკური ოპერაციები (დატვირთვა-გადმოტვირთვა) მაქსიმალურად იქნება კონცენტრირებული დღის საათებში (08:00-დან 20:00-მდე).

ღამის საათებში მძიმეწონიანი ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება (გარდა გამონაკლისი საერთაშორისო რეისებისა),




რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ღამის საათებში აკუსტიკური შეწუხების ფაქტორი მიმდებარე არეალისთვის.
</td>
</tr>
</table>

რუკა : სატრანსპორტო მარშრუტი

